საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №359
2024 წლის 30 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„დამოკიდებულ პირთა სიის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის №50 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„დამოკიდებულ პირთა სიის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის №50 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 21/02/2022, სარეგისტრაციო კოდი: 040170310.22.033.017556) დამტკიცებული „დამოკიდებულ პირთა სიის წარმოების წესის“ მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. ამ წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის, აგრეთვე ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად დამოკიდებულ პირთა სიიდან პირის შესახებ მონაცემების ვადაზე ადრე ამოღების შემთხვევაში, დამოკიდებულ პირთა სიაში შეტანილი პირის შესახებ მონაცემები ინახება შესაბამისი გარემოების (მონაცემთა შენახვის ვადის გასვლა/სიიდან მონაცემების ვადაზე ადრე ამოღება) დადგომიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**